



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 47

2016 წლის 21 აპრილი

ქ. თბილისი

**2016 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის
გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების
შესახებ**

„გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ხატია ანანიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N416462, 21.04.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2016 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის თავფურცელის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ძირითადი პერსონალის, ან კონსულტანტის ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს პროექტის საერთო ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს „პროექტის რეზიუმე“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს „პროექტის ხელმძღვანელის მიერ წინა 3 წლის განმავლობაში განხორციელებული და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის რეზიუმე“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის საინფორმაციო ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის კონსულტანტის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს კონკურსში პროექტის წარმდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. დამტკიცდეს კონკურსის საგრანტო პროექტის საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N13-ის შესაბამისად.
15. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
16. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

